Daten

Im **deutschen Strafrecht** gibt es verschiedene Ausgangspunkte für den Datenbegriff. Im Hinblick auf die Strafbarkeit wegen Computerbetrugs (§ 263a dStGB), der Fälschung technischer Aufzeichnungen (§ 268 dStGB) und der Fälschung beweiserheblicher Daten (§ 269 dStGB) sind Daten alle – nicht notwendig gespeicherten – Informationen, die Gegenstand eines Datenverarbeitungsprozesses sein können. Für den Schutz der Daten aus dem persönlichen Lebens- und Geheimnisbereich (§§ 202a ff. dStGB) wird der Datenbegriff in § 202a Abs. 2 dStGB legaldefiniert. Danach sind Daten nur solche, die elektronisch, magnetisch oder sonst nicht unmittelbar wahrnehmbar gespeichert sind oder übermittelt werden. Eine Beschränkung auf Computerdateien besteht nicht. Der Datenbegriff aus dem dStGB ist dabei nicht auf personenbezogene Daten im Sinn des § 3 Abs. 1 Bundesdatenschutzgesetzes (BDSG) beschränkt. Im **georgischen Strafrecht** gibt es ebenfalls verschiedene Vorschriften, die an einen strafbaren Umgang mit Daten anknüpfen. Art. 284 gStGB regelt den unbefugten Zugriff auf ein Computersystem. Nach der amtlichen Anmerkung zu Art. 284 Abs. 2 gStGB sind Daten die im Computersystem zur Verarbeitung in beliebiger Form abgebildeten Informationen. Der Datenbegriff ist dabei hauptsächlich mit einem Computersystem verbunden. Nach Art. 158 gStGB ist die unerlaubte Aufnahme, die gesetzwidrige Verwendung, die Verbreitung und jede andere Art der zur Verfügungstellung von Informationen oder Computerdaten, die im Rahmen einer privaten Kommunikation übertragenen werden, strafbar. Daneben regelt Art. 374 gStGB die unerlaubte Veröffentlichung von Ermittlungsdaten, welche nicht im Zusammenhang mit einem Computersystem stehen müssen. (Ceo/Mkh)

მონაცემები

გერმანულ სისხლის სამართალში მონაცემების ცნების სხვადასხვა გაგება არსებობს. გსსკ-ით გათვალისწინებული კომპიუტერული თაღლითობის (გსსკ-ის 263a პარაგრაფი), ტექნიკური საშუალებით განხორციელებული ჩანაწერის გაყალბების (გსსკ-ის 268-ე პარაგრაფი) და მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე მონაცემის გაყალბების (გსსკ-ის 269-ე პარაგრაფი) დასჯადობისთვის, მონაცემები ეწოდება ყველა ისეთ ინფორმაციას (აუცილებელი არ არის, რომ ისინი იყოს შენახული ფორმით), რომელიც შეიძლება მონაცემთა დამუშავების პროცესის საგანს წარმოადგენდეს. პირადი ცხოვრებისა და საიდუმლოების შემცველი მონაცემების დაცვის მიზნისათვის (გსსკ-ის 202a და მომდევნო პარაგრაფები) მონაცემთა ცნება, საკანონმდებლო დეფინიციის სახით, განმარტებულია გსსკ-ის 202a პარაგრაფის მე-2 ნაწილში. აღნიშნულის მიხედვით, მონაცემებად მიჩნეულია მხოლოდ ელექტრონულად, მაგნიტურად ანდა სხვა უშუალოდ აღქმადი ფორმით შენახული თუ გადაცემული მონაცემი. კომპიუტერულ მონაცემების ნიშნით შეზღუდვა არ არსებობს. ამასთან, გსსკ-ით გათვალისწინებული მონაცემთა ცნება არ შემოიფარგლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფედერალური კანონის მე-3

პარაგრაფის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა მნიშვნელობით. **საქართველოს სისხლის სამართალში** ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა ნორმები, რომლებიც მონაცემთა დანაშაულებრივ დამუშავებას უკავშირდებიან. სსსკ-ის 284-ე მუხლი ითვალისწინებს კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას. იმავე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად, კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისთვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია. ამასთან, მონაცემთა ცნება ძირითადად დაკავშირებულია კომპიუტერულ სისტემასთან. სსსკ-ის 158-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უნებართვო ჩაწერა, უკანონო გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სსსკ-ის 374-ე მუხლი ითვალისწინებს გამოძიების მონაცემების გახმაურებას. ეს მონაცემები შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერულ სისტემასთან არც იყოს რაიმე კავშირში. (Ceo/Mkh)